ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6561887

ნომერი: AR1974075

თარიღი : 23.06.2023

გაცემის თარიღი : 14.07.2023

გაცნობის თარიღი : 14.07.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მუხრან მაჭავარიანის , N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ლომაძე პ/ნ 01025020161
- საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მუხრან მაჭავარიანის ქ., N1

ორგანიზაცია:

- სს ჯეო კონსალტინგი კოდი: 205217086

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 16 თებერვლის №6324042 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 23 ივნისს №AR1974075 განცხადებით მომართა ლევან ლომაძემ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 16 თებერვლის №6324042 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახური 2023 წლის 16 თებერვლის №6324042 გადაწყვეტილებით №01.10.10.019.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე დაეთანხმა I კლასის შენობა-ნაგებობის (ავტოსამრეცხაოს ბოქსების) მშენებლობის შესაძლებლობას.

სამსახურის 2023 წლის 18 მაისის №6450343 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ავტოსერვისის განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. სამსახურში ასევე ფიქსირდება 2023 წლის 30 მაისის №AR1968606 განცხადება ავტოსერვისის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით.

განმცხადებლის განმარტებით, აღარ აქვს სამსახურის 2023 წლის 16 თებერვლის №6324042 გადაწყვეტილების საფუძველზე სამუშაოების წარმოების ინტერესი და სურს II კლასის პარამეტრების შესაბამისი ავტოსერვისის მშენებლობა. ამასთან, 2023 წლის 30 მაისის №AR1968606 განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიის დღევანდელი მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალით დგინდება, რომ სამსახურის 2023 წლის 16 თებერვლის №6324042 გადაწყვეტილების საფუძველზე სამშენებლო სამუშაოები განხორციელებული არ არის.

საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად (განცხადების №882023192248, მომზადების თარიღი: 16/03/2023 წ.), №01.10.10.019.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს სს „ჯეო კონსალტინგი“ (ს/ნ: 205217086).

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B22088456, მომზადების თარიღი: 18/08/2022 წ.) სს „ჯეო კონსალტინგის“ (ს/ნ: 205217086) ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ლევან ლომაძე (პ/ნ: 01025020161). შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და "ლიცენზიების და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს ლევან ლომაძის 2023 წლის 23 ივნისის №AR1974075 განცხადება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 16 თებერვლის №6324042 გადაწყვეტილება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.